

ქ. ნანობაშვილი

საბუღალტრო აღრიცხვის  
ავტომატიზებული სისტემა

მეთოდური მითითებები

ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. ნანობაშვილი

## საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა

მეთოდური მითითებები  
ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად



რეკომენდებულია სტუ-ის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს  
მიერ. 04.03.2011, ოქმი №1

თბილისი  
2011

რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ინფორმატიკის ფაკულტეტის პროფესიული და ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საბუღალტრო დარგში მომუშავე პრაქტიკოსებისა და შესატყვისი სპეციალობის სტუდენტებისათვის.

მეთოდური მითითებები განკუთვნილია ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საგანში – „საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა“. აგებულია საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზებულ პროგრამაზე – „ORIS-ბუღალტერია.“

რეცენზენტები: სრული პროფესორი გ. ჩაჩანიძე,

სრული პროფესორი თ. შეროზია

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011

ISBN 978-9941-14-921-4



<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

შესაბამის უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სააგტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

**შინაგანსი**  
**I თავი**  
**საბუღალტრო აღრიცხვის**  
**ავტომატიზებული სისტემების**  
**მიმოხილვა**

|     |   |                               |    |
|-----|---|-------------------------------|----|
| 1.1 | საბუღალტრო კომპიუტერიზაციის ტენდენცია.  | აღრიცხვის საფოველთაო ეტაპები. |    |
| 1.2 | საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზების ეტაპები.                                     |                               | 8  |
| 1.3 | პროგრამული სამუალებების შერჩევა.  |                               | 12 |
| 1.4 | საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.                         |                               | 13 |
| 1.5 | საბუღალტრო აღრიცხვაში კომპიუტერული სისტემების დაწერვის პროცესი.                 |                               | 16 |
| 1.6 | საბუღალტრო აღრიცხვისანობის კომპიუტერული სისტემების შედარება აღრიცხვისანობასთან. |                               | 17 |
|     |   |                               | 20 |

**II თავი**  
**ლაბორატორიული სამუშაოები**

|     |                          |   |
|-----|--------------------------|---|
| 2.1 | ლაბორატორიული სამუშაო №1 | ORIS-ბუღალტრის პროგრამის ინსტალაცია და ახალი ორგანიზაციის შექმნა. |
|     |                          | 23  |
| 2.2 | ლაბორატორიული სამუშაო №2 | ანგარიშთა გეგმა. ფინანსური სახეობის ანგარიშის გახსნა.             |
|     |                          | 33  |
| 2.3 | ლაბორატორიული სამუშაო №3 | სასაქონლო და ბანკის სახეობის ანგარიშების გახსნა.                  |
|     |                          | 39  |
| 2.4 | ლაბორატორიული სამუშაო №4 | სასტარტო ნაშთების შეტანა.   |
|     |                          | 48  |
| 2.5 | ლაბორატორიული სამუშაო №5 | საბუღალტრო გატარებები. ანალიზური და საოპერაციო პერიოდები.         |
|     |                          | 53  |
| 2.6 | ლაბორატორიული სამუშაო №6 | თანამშრომლის სახეობის ანგარიშები.                                 |
|     |                          | 67  |

|             |  |     |
|-------------|--|-----|
| <b>2.7</b>  | <b>ლაბორატორიული სამუშაო №7</b>  |     |
|             | სასაქონლო გატარება საქონლის თვითდირებულების<br>გამოთვლა. ორგანიზაციის სახეობის ანგარიშების გახსნა. . . | 76  |
| <b>2.8</b>  | <b>ლაბორატორიული სამუშაო №8</b>  |     |
|             | პირველადი დოკუმენტები. საგადასახადო დავალების შედგენა.   | 82  |
| <b>2.9</b>  | <b>ლაბორატორიული სამუშაო №9</b>  |     |
|             | პირველადი დოკუმენტები. ანგარიშ-ფაქტურის შევსება.<br>სასაქონლო ზედნადების შევსება. . . . .              | 90  |
| <b>2.10</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №10</b>   |     |
|             | საცდელი ბალანსი. მოგება-ზარალის ავტომატურად<br>მიღების საშუალება. . . . .                              | 100 |
| <b>2.11</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №11</b>   |     |
|             | ძირითადი საშუალებები. ცვეთის დარიცხვა. . . . .   | 103 |
| <b>2.12</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №12</b>   |     |
|             | პროექტები.. . . . .  | 111 |
| <b>2.13</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №13</b>   |     |
|             | სამურნეო ოპერაციები. . . . .   | 121 |
| <b>2.14</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №14</b>   |     |
|             | ხელფასის დარიცხვა. . . . .   | 126 |
| <b>2.15</b> | <b>ლაბორატორიული სამუშაო №15</b>   |     |
|             | ხელფასების პლასტიკურ ბარათზე გაგზავნა; არქივი. . . .   | 139 |

## შესავალი

დღეს წარმოუდგენელია ადამიანის მოღვაწეობის ისეთი სფეროს მოძიება, სადაც გამოყენებული არ არის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და პერსონალური კომპიუტერი. მართვის ავტომატიზებული სისტემა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებაა და გულისხმობს ადამიანისა და პერსონალური კომპიუტერის მჭიდრო კავშირს ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური საქმიანობის სფეროში. სრულიად ბუნებრივია, ისეთ სფეროში, როგორიცაა საბუღალტრო აღრიცხვის პროცესის წარმართვა, ძალზე ეფექტურად და წარმატებით იქნეს გამოყენებული ასეთი ტექნოლოგიები.

კომპიუტერული ბუღალტრის პაკეტის დანერგვის შემთხვევაში, არა მარტო საბუღალტრო აღრიცხვიანობის მოწესრიგების საშუალება, არამედ სხვა საწარმო პროცესების დარეგულირებაცაა შესაძლებელი. მაგალითად, პროგრამული პაკეტი საშუალებას იძლევა მოწესრიგდეს სასაწყობო მეურნეობა, პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების პროცესები, კონტროლის ქვეშ იყოს სხვადასხვა ხელშეკრულებები და მისი შესრულების მიმდინარეობები, თავის დროზე ჩაბარდეს ანგარიშები და ა.შ. ყოველივე ამის გარეშე, შესაძლებელია ბიზნესი არა მარტო დაზარალდეს, არამედ სრული კრახიც კი განიცადოს. ამის მაგალითები, საკმაოდ მრავლად შეიძლება მოიძებნოს.

ცხადია, კომპიუტერი ვერ შეცვლის გამოცდილ და მცოდნე ბუღალტერს. უფრო მეტიც, ბუღალტრის გარეშე კომპიუტერის გამოყენებას საბუღალტრო აღრიცხვაში აზრი არა აქვს. კომპიუტერი ბუღალტერს საშუალებას მისცემს აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა უფრო მოწესრიგებული ფორმით, არ შეიზღუდოს მიღებული და დასამუშავებელი ინფორმაციის რაოდენობით, გაზარდოს საბუღალტრო აღრიცხვის ოპერატიულობა, შეამციროს და მთლიანადაც აღმოფხვრას

არითმეტიკული შეცდომები, გაანალიზოს და შეაფასოს საწარმოოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, დასახოს პერსპექტიული გეგმები.

ბუღალტერიას თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით გაუჩნდა შესაძლებლობა, უბრალო ფულადი ანგარიშებიდან გადასულიყო, ნებისმიერი ობიექტისა და იქ მიმდინარე ოპერაციების აღრიცხვიანობის წარმოებაზე ფულად ერთეულებში.

დღეისათვის, ცხადია, აღრიცხვიანობის წარმოების გარეშე გერც ერთი მეურნეობა განვითარდება, რადგან აღრიცხვიანობა, ეს არის სამეურნეო საქმიანობის ქვაკუთხედი, ბიზნესის განვითარების მძლავრი საფუძველი. ბუღალტერიას წარმოების ისტორია, ერთიანი ისტორიაა მწყობრი სისტემური აღრიცხვიანობის ჩამოყალიბების, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ღირებულებების შენახვის კონტროლს, ახორციელებს ობიექტზე მიმდინარე პროცესების ეფექტურ მართვას.

მოცემული მეთოდური მითითებები შედგება ორი თავისაგან.

I თავში განხილულია საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაო კომპიუტერიზაციის ტენდენცია; საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზების ეტაპები; პროგრამული საშუალებების შერჩევა; საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები; საბუღალტრო აღრიცხვაში კომპიუტერული სისტემების დანერგვის პროცესი; საბუღალტრო აღრიცხვიანობის კომპიუტერული სისტემების შედარება არაკომპიუტერულ აღრიცხვიანობასთან.

II თავი შედგება 15 ლაბორატორიული სამუშაოსაგან. აგებულია საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზებულ პროგრამაზე – „ORIS-ბუღალტერია“.

ლაბორატორიული სამუშაოები შედგენილია შემდეგი თანამიმდევრობით: მოცემულია თემის დასახელება,

ლაბორატორიული სამუშაოს დანიშნულება, მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად, სადაც დეტალურადაა აღწერილი თემის შესრულების თანამიმდევრობა. დასასრულს მოცემულია ამოცანა, რომელიც სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს.

სახელმძღვანელო დაწერილია იმ ლექციის კურსის სილაბუსის მიხედვით, რომელიც შედგენილია ავტორის მიერ.

შეტანილი მასალა მოძიებულია საიტზე – [www.oris.ge](http://www.oris.ge) და გადამუშავებულია ჩვენ მიერ წარმოდგენილი ფორმით, სტუდენტისათვის ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარების მიზნით.

## **საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაო კომპიუტერიზაციის ტენდენცია**

როგორც საბუღალტრო აღრიცხვის პროცესებიდან ჩანს, ბუღალტერმა თვალყური უნდა ადევნოს იმ მრავალრიცხვან ცვლილებას, როგორც საკანონმდებლო, ისე საწესდებლი საქმიანობაში, რომელიც რეგლამენტს უწესებს საბუღალტრო და საგადასახადო საქმის წარმოებას. ხშირ შემთხვევაში საჭიროა, ოპერატორულად იქნეს მიღებული შესაბამისი შესწორებებიც. გარდა ამისა, ბუღალტერს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უწევს უამრავი ცნობისა და ანგარიშის შედგენა-გაფორმება როგორც შიგა, ისე გარე ინსტანციების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ყველასთვის ცხადია აგრეთვე, თუ რა მნელია კვარტალური და წლიური ბალანსების შედგენა, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობას, სადაც უმნიშვნელო შეცდომაც კი დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, აღნიშნული პრობლემების მოგვარება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, ნებისმიერ სფეროში მომუშავე ბუღალტერი ან უკვე იყენებს, ან ცდილობს შეიძინოს სპეციალური საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული სისტემები.

ამ ბოლო დროს, თითქმის აღარ არსებობს სფერო, სადაც საბუღალტრო აღრიცხვიანობის წარმოება მიმდინარეობდეს კომპიუტერის გამოყენების გარეშე. ეს ტექნიკურია ადგილი ასახსნელია, რადგან კომპიუტერი გაცილებით სწრაფად აკეთებს გამოთვლებს და აადვილებს რთული ოპერაციების წარმოებას. კომპიუტერიზაცია ფართოდ შეიჭრა ადამიანის საფინანსო-ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროშიც. საწარმოოს საფინანსო

ეკონომიკური ანალიზი ძალზე მარტივდება ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. კომპიუტერის მეშვეობით შესაძლებელია მოშხმარებელს მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სახით, როგორც მისგან იქნება მოთხოვნილი კონკრეტულ მომენტში. ამასთან, ინფორმაცია ხდება გამჭვირვალე, საანგარიშო დოკუმენტებს აქვს მარტივი და სრულყოფილი სახე. ჯერ კოდევ 10-15 წლის წინ, თუ საბუღალტრო ანგარიშებისა და ანალიზისათვის ძირითადი ინსტრუმენტი იყო კალკულატორი, ახლა არც ერთი წარმოება-დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვის სექტორს კომპიუტერის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. კომპიუტერის დანერგვით წარმოიშვა სპეციალური პროგრამული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც საბუღალტრო, ისე სხვა ფინანსური ოპერაციების წარმართვას. კომპიუტერი გახდა მთავარი დამხმარე საშუალება მენეჯერისა და ფინანსური დირექტორებისთვის.

დღეს ფართოდ გავრცელებული ბიზნეს-საქმიანობის სფეროში, კერძოდ, მსხვილ კომპანიებში, თავს იყრის დიდი მოცულობის ინფორმაცია შემკვეთებზე, გასაღების ბაზარზე, ფინანსებზე, კონკურენტებზე და ა.შ. ადრე ასეთი სახის ინფორმაცია ინახებოდა ჩვეულებრივ ქაღალდებზე, ახლა კი ინახება ელექტრონული ფორმით ანუ ქმნის მონაცემთა კომპიუტერულ ბაზებს. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის ღირებულება განისაზღვრება არა მისი მოცულობის მიხედვით, არამედ, როგორი ხელსაყრელი სახით იქნება იგი წარმოდგენილი მომხმარებლისთვის. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება მსხვილ კომპანიებში ხორციელდება მრავალრიცხვანი მომსახურე პერსონალის მიერ, რომლებიც ზოგჯერ ასრულებენ ისეთ „ზედმეტ“ ოპერაციებსაც კი, რაც შეიძლება შეასრულოს კომპიუტერმა. პატარა ბიზნეს-ჯგუფებსა და ფირმებში, სადაც

მომსახურე პერსონალის შტატი მცირეა, ბუღალტერი ასრულებს როგორც საბუღალტრო აღრიცხვიანობის ოპერაციებს, ისე საფინანსო ანალიზსაც. ამას კი მივყავართ კომპიუტერის გამოყენების აუცილებელ მოთხოვნამდე.

ცხადია, იმ პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენა, რასაც იძლევა კომპიუტერის გამოყენება, მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ კომპლექსურად იქნება სისტემაში ჩაფლული ყველა ის პროგრამული და აპარატული საშუალება, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება გადასაწყვეტ ამოცანის მოთხოვნებს. ამიტომ, დღეს კომერციული კომპანიების შერიდან დიდი მოთხოვნაა ისეთ კომპიუტერულ პროგრამებზე, რომლებიც ზელს შეუწყობს კომპანიის მმართველი რგოლის მუშაობას და კომპანიის კუთვნილი კომპიუტერული სიმძლავრის ოპტიმალურ გამოყენებას.

საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერიზაციის დონე და მოცულობა განისაზღვრება იმ ორგანიზაციის მასშტაბებით, რომლისთვისაც ეს სისტემა კეთდება. მცირე საწარმოებისათვის კომპიუტერიზაციის მოცულობა, რა თქმა უნდა, მცირეა. რაც შეეხება მსხვილ ორგანიზაციებს, მათი თავისებურებებიდან გამომდინარე, საჭიროა გადაწყდეს:

1. ორგანიზაციის რომელი ქვედანაყოფისთვისაა საჭირო კომპიუტერიზაცია და რომლისთვის არა. რა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, თუ ყველა ქვეგანყოფილება იქნება კომპიუტერიზებული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ძნელად განსახორციელებელია კომპიუტერული ტექნიკის შეძენისათვის საჭირო თანხების სიმცირის ან შეიძლება სულაც არქონის გამო.
2. როგორი თანამიმდევრობით მოხდეს ქვეგანყოფილების კომპიუტერიზაცია. უმრავლეს შემთხვევაში, კომპიუტერიზაციის დაწყება მიზანშეწონილია

საბუღალტრო აღრიცხვის მთავარი წიგნიდან, შემდეგ  
სამეურნეო ოპერაციის ჟურნალიდან, საგადასახადო  
ანგარიშებიდან და ა.შ.

იმის შემდეგ, რაც გაირკვევა 1 და 2 პუნქტში მოცემული  
საკითხები, განისაზღვრება რა შეიცვლება კომპიუტერზაციის  
საფუძველზე საბუღალტრო აღრიცხვიანობაში. მკაცრად უნდა  
განისაზღვროს, რა ინფორმაცია უნდა შევიტანოთ კომპიუტერში  
და რა უნდა მოგვაწოდოს კომპიუტერმა თავის გამოსასვლელზე.  
სტანდარტულ შემთხვევაში, კომპიუტერის გამოსასვლელზე  
მიიღება საბუღალტრო აღრიცხვიანობის შემდეგი დოკუმენტები:

1. პირველადი დოკუმენტები;
2. სააღრიცხვო დოკუმენტები;
3. ორგანიზაციის შიგა სტრუქტურებისათვის საჭირო  
ინფორმაცია;
4. საგადასახადო და სხვა ტიპის შენატანების  
საბუღალტრო აღრიცხვები და ანგარიშები.

როგორც ზედავთ, ამოცანა ისაა, რომ ფიქსირდება  
ორგანიზაციის ყველა იმ დოკუმენტის კონკრეტული ჩამონათვალი  
და მოთხოვები, რომლებიც მიიღება კომპიუტერული  
საბუღალტრო აღრიცხვიანობის გამოსასვლელზე. თუ არ იქნება  
წინასწარ ამოცანა ზუსტად დაყენებული, მაშინ სისტემის  
გამოსასვლელზე ვერ მივიღებთ იმ საჭირო დოკუმენტებს,  
რომლებიც მოითხოვება ორგანიზაციის საფინანსო მენეჯმენტის  
განხორციელებისათვის.

## **საბულალტრო აღრიცხვის ავტომატიზების ეფაკტი**

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ათასზე მეტი, სხვადასხვა სიმძლავრისა და ღირებულების საბულალტრო აღრიცხვის მზა პროგრამული პაკეტი.

თითოეული მათგანის შექმნა რამდენიმე ძირითადი ეტაპისაგან შედგება.

**პირველი ეტაპი საბულალტრო აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის პროგრამის დამუშავება.** ეს ეტაპი დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს, როდესაც რეალურად შექმნა ასეთი სახის პროგრამული პროდუქტების გამოყენების აუცილებლობა, იმ დროს მომრავლებული კოოპერატივებსა და მცირე საწარმოებებში. პროგრამები ემსახურებოდა შრომითი კოლექტივებისა და სხვა მრავალ ახალ შექმნილ სუბიექტის საბულალტრო აღრიცხვისთვის წარმოებას. ეს პერიოდი ასევე ხასიათდებოდა პერსონალური კომპიუტერების, თუ შეიძლება ითქვას, „ფეთქებად“ ეპოქად. პერსონალური კომპიუტერები კი წარმოადგენდა ასეთი სახის პროგრამების რეალიზების ტექნიკურ პლატფორმას. უფრო მეტიც, პროგრამათა დიდი ნაწილი სპეციალურად იქმნებოდა ავტონომიურ პერსონალურ კომპიუტერზე რეალიზებისათვის.

**მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო ქვეყანაში კომერციული სტრუქტურების განვითარებასთან.** ასობით ასეთი სტრუქტურა საჭიროებდა საბულალტრო აღრიცხვას. ადრე არსებული კოოპერატივები და დროებითი შრომითი კოლექტივები შეცვალა პროფესიულმა გაერთიანებებმა და კერძო კომპანიებმა, რომლებისთვისაც საჭირო გახდა არა მარტო არსებული

საბუღალტრო პაკეტები, არამედ სპეციალური პროგრამები, რომლებიც შეკვეთების სახით სრულდება.

**მესამე ეტაპი** საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის განვითარებისა, ხასიათდება ინტეგრირებული პროგრამული საშუალებების შექმნით. პროგრამული სისტემები ერთიანდებოდნენ ავტომატიზაციის რამდენიმე სასაგნო არეზე და ქმნიდნენ ინტეგრირებულ პროგრამულ კომპლექსს.

## პროგრამული საშუალებების შერჩევა

იმის შემდეგ, რაც გადაწყდება საბუღალტრო აღრიცხვინანობის ოპტიმიზების ამოცანა, მისი მასშტაბები და მოწესრიგდება კომპიუტერიზაციის თანამიმდევრობის რიგითიანობა, შეიძლება გადავიდეთ პროგრამული საშუალებების შერჩევაზე. თუ არ დავიცავთ ასეთ თანამიმდევრობას და წინასწარ შევიძენთ „იაფფასიან“ პროგრამებს, შეიძლება აღვმოვჩნდეთ განსაკუთრებული პრობლემების წინაშე. კერძოდ, შეძენილ პროგრამას შეიძლება არ აღმოაჩნდეს იმ ამოცანის გადაწყვეტის სიმძლავრეები, რაც დგას მომზმარებლის წინაშე. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქწებით შევიძინოთ სხვა პროგრამული პროდუქტი, რაც ორმაგ დანახარჯამდე მიგვიყვანს.

იმისათვის, რომ არსებული პროგრამული პროდუქტების ვერსიებისა და მისი მწარმოებლების სიმრავლიდან (მათი რიცხვი ათობით ათასსაც კი აღწევს) შეირჩეს კონკრეტული მომზმარებლისთვის ოპტიმალური ვარიანტი, უნდა გვახსოვდეს მთავარი: ყველაზე კარგი ან ცუდი პროგრამა არ არსებობს, შესაბამისად, საუკეთესო პროგრამის შერჩევა შეუძლებელია. ყველა პროგრამული პროდუქტი, რომელსაც უწევენ რეკლამას და ყიდიან, ყველა კარგია, რაც დამტკიცებულია კიდეც მათი ექსპლუატაციის

შედეგად. მაში, რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ესა თუ ის პროგრამა ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ რომელი, როგორი მომხმარებლისთვისაა გამოსაღები და რომელი არა. ამგვარად, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეირჩეს პროგრამული პროდუქტების სიმრავლიდან ისეთი, რომელიც წარმატებით გადაჭრის კონკრეტული მომხმარებლისთვის საჭირო საბულალტრო აღრიცხვიანობისთვის შედგენილ ამოცანებს.

როგორ მოვახერხოთ ეს? ზემოხსენებული ეტაპების გავლის შემდეგ, უკვე თვალნათლივ ვიცით, თუ რა გვინდა პროგრამისგან, რა მოთხოვნები წაეყენება მას, ამიტომ, პროგრამის შერჩევა აღარ გაგვიჭირდება. მართებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა:

1. როგორი პროგრამის შეძენა გვინდა, მცირე სიმძლავრის თუ დიდის?

2. როგორი ოპერაციული სისტემის საშუალებით იმუშავებს პროგრამა?

3. პროგრამა ქსელური უნდა იყოს თუ არა?

პირველი საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ საწარმოს სიმძლავრეზე, რომლისთვისაც ვიძენთ პროგრამას, საერთოდ კი, არსებულ პროგრამათა სიმრავლე იყოფა ორ ჯგუფად: მცირე ბუღალტერიის პროგრამები და პროგრამები მსხვილი ბუღალტერიისათვის. რა თქმა უნდა, მცირე ბუღალტერიის პროგრამები გაცილებით მარტივია მომხმარებლისათვის ასათვისებლად, მაგრამ მას არ აქვს ყველა ის სიმძლავრე და ავტომატური ფუნქცია, რაც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ საბუღალტრო საქმიანობა ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. მცირე საწარმოებში, სადაც ოპერაციათა რაოდენობა მცირეა, ზოგიერთი ნიუანსი შეიძლება ვაწარმოოთ ზელით, რაც მსხვილი ბუღალტერიისათვის, რა თქმა უნდა, მიღებულია. მსხვილი ბუღალტერიის კომპიუტერული პროგრამები

საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ნებისმიერი საბუღალტრო ოპერაცია. შესაბამისად, ასეთი პროგრამები როგორიცაა და მათი დანერგვაც გაცილებით შრომატევადია, ასეთი პროგრამული საშუალებები შედგება არა ცალკეული პროგრამებისგან, არამედ ერთიანი მოდულის ნაკრებებისაგან, რომელთაგან, თითოეული განკუთვნილია კონკრეტული საბუღალტრო საქმიანობის საწარმოებლად.

მეორე საკითხის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ არსებულ პროგრამათა უმრავლესობას აქვს DOS-ის და Windows ვერსია. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ, თუ სასურველ პროგრამას აქვს ორივე ვერსია, უმჯობესია შევარჩიოთ Windows, რადგან ეს უკანასკნელი უფრო თანამედროვე ოპერატორული სისტემაა. მიუხედავდ იმისა, რომ Windows ვერსიის პროგრამა უფრო ძვირია, იგი ამ დანახარჯს ადვილად ანაზღაურებს თავისი მოქნილობის წყალობით.

მესამე საკითხი მარტივი გადასაწყვეტია. ჯერ ერთი, მსხვილი ბუღალტერიის კომპიუტერიზაცია არაქსელურ რეჟიმში უაზრობაა, რადგან ბუღალტერიაში მომუშავე ყოველ პერსონას აქვს თავისი კომპიუტერი და თუ ეს კომპიუტერები ერთმანეთთან არ იქნება ქსელით დაკავშირებული საერთო (ძირითად) კომპიუტერთან (და ერთმანეთთან), მაშინ ვერ მოხერხდება საჭირო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და ვერც საბუღალტრო საქმიანობა წარიმართება ოპტიმალურ რეჟიმში. მეორეც, თანამედროვე ყველა საბუღალტრო კომპიუტერულ სისტემას აქვს ქსელური უზრუნველყოფა და ამით, ეს პრობლემაც გადაჭრილია.

## **საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები**

საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი კომპიუტერია კომპიუტერი და მისი კონფიგურაცია. თუ როგორი კონფიგურაციის კომპიუტერია საჭირო შერჩეული პროგრამის რეალიზებისათვის, ეს ძირითადად დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. პროგრამაზე, რომელიც დაყენებულია კომპიუტერზე;
2. იმ ოპერაციების რაოდენობაზე, რომლებიც შეყვანილია პროგრამაში.

ზოგიერთი პროგრამა კომიუტერისაგან მოითხოვს მძლავრ რესურსებს, ზოგიერთი მცირეს, და თუ შევარჩევთ Windows – სისტემას, მაშინ კომპიუტერიც უნდა შევარჩიოთ მძლავრი. თუ ვმუშაოთ ქსელური პროგრამით, მაშინ საჭიროა უფრო დიდი რესურსები, ვიდრე არაქსელურისათვის. რადგან რეკომენდებულია Windows სისტემა და ქსელური ბუღალტერია, შესაბამისად, კომპიუტერიც უნდა შევარჩიოთ მაღალი დონის კონფიგურაციის და საკმარისი რესურსებით.

რაც შეხება ოპერაციების რაოდენობას დაყენებულ პროგრამაში, რაც მეტია მისი რაოდენობა, მით მეტი რესურსებია საჭირო მის დასამუშავებლად. საჭიროა ითქვას, რომ კომპიუტერის შესარჩევად, თუ შესაძლებელია, უმჯობესია კონსულტაცია ავილოთ მისგან, ვინც უკვე გამოსცადა თავის ორგანიზაციაში საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, შეიძინა პროგრამული კომპლექსიც და შესაბამისი კომპიუტერიც.

გარდა კომპიუტერის შერჩევისა, ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში დიდი მნიშვნელობა აქვს კომპიუტერული ქსელის დაყენებას, თუ ვმუშაოთ ქსელურ

რეჟიმში. დღეისათვის ასეთი სახის ქსელები მრავლად არის დამუშავებული, რომლებიც ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდება როგორც ღირებულებით, ისე აპარატურული და პროგრამული საშუალებით. მცირე ბუღალტერიის (5-6 კომპიუტერი) შემთხვევაში, ქსელის ღირებულება თავისი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფით, მცირეა და მისი დაყენებაც მარტივია. მსხვილი ქსელების შემთხვევაში, ადგილი აქვს სერიოზულ დამატებით ფინანსურ დანახარჯებს და ქსელის დაყენებაც შესაბამისად როგორც პროცესებთან არის დაკავშირებული.

## საბუღალტო აღრიცხვაში კომპიუტერული სისტემების დანერგვის პროცესი

იმის შემდეგ, როდესაც უკვე განსაზღვრულია კომპიუტერიზაციის მიზნები, მისი მასშტაბები, თანამიმდევრობა, დაყენებულია ამოცანა, არჩეული და შეძენილია საწარმოსათვის ოპტიმალური ვარიანტის პროგრამა და გადაწყვეტილია ტექნიკური საკითხები, შეიძლება შევუდგეთ პროგრამასთან მუშაობას. რა თქმა უნდა, ეს პროცესი როგორც და შრომატევადია მით უმეტეს მაშინ, თუ მისი გადაწყვეტა საკუთარი ძალებით გვინდა, არ გვაქვს შესაბამისი გამოცდილება და არ გვსურს სხვა ორგანიზაციას შევუკვეთოთ სისტემის ამუშავება. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, მოითხოვს დამატებით ფინანსებს.

პროგრამის დაწერგვის პროცესი შეიძლება ორ ძირითად ეტაპად დავყოთ: პროგრამის დაყენების და გამართვის ეტაპი, სწავლების ეტაპი.

პროგრამის დაყენებისა და გამართვის ეტაპებში შედის:

- საწარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე, საბუღალტრო აღრიცხვის ოპტიმიზაციის გეგმის შედეგია და ამოცანის დაყენება;
- საბუღალტრო აღრიცხვის ოპტიმიზაციისათვის და დაყენებული ამოცანისათვის საჭირო, საწარმოს შესატყვისი ტიპური ამოცანების გამართვა;
- პირველადი დოკუმენტების ფორმების შედეგია და გამართვა, რომლის შესაბამისად ჩანაწერები, საანგარიშო მონაცემები და ა.შ. იწარმოებს ავტომატურად;
- საგადასახადო ანგარიშებისა და სხვა შემოსავალ-გასავლის ფორმების გამართვა. სწავლის ეტაპებში, რომლებიც იწყება პროგრამის დაყენებისა და გამართვის შემდეგ, შედის:

**მომსახურე პერსონალის პირველი დონის სწავლება.** იგი მოიცავს: სამეურნეო ოპერაციის კომპიუტერულ წარმოებას, პირველადი დოკუმენტების გამობეჭდვას, ყოველდღიური აღრიცხვისა და ანგარიშების დოკუმენტების წარმოებას. პროგრამასთან მუშაობა უნდა შეეძლოს ყველას, ვინც საბუღალტრო საქმიანობას ეწევა და მუშაობს „რეალური დროის რეჟიმში“. სწავლები „რეალური დროის რეჟიმში“ მუშაობის შესწავლას თვალისწინებს სწავლების პირველი დონი.

**სწავლების მეორე დონე.** უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერულ სისტემებს, მით უმეტეს, თუ ეს სისტემა ემსახურება ისეთ ოპერაციებს, როგორიც საბუღალტრო აღრიცხვიანობაა, ახასიათებს დროის გარკვეულ პერიოდში ცვლილებები. ეს ცვლილებები შეიძლება იყოს, როგორც სამეურნეო ხასიათის – შეცვლა ორგანიზაციის მოღვაწეობის სფეროში; ასევე საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში – შეიცვალა საგადასახადო სისტემის მოთხოვნები, ფორმები, საკანონმდებლო აქტები და ა.შ.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, მომსახურე პერსონალმა უნდა შეძლოს გადაეწყოს ახალი მოთხოვნების შესაბამისად; დოკუმენტების ფორმებში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები შეტანა და გაითავისოს პროგრამა, რადგან პროგრამის შემქმნელებს არ შეუძლიათ დაუკავშირდნენ მათი პროდუქტის მომხმარებლებს და დაეხმარონ ამ ცვლილებებში.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა, პროგრამის უფრო ღრმა ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს ადვილად გაუმკლავდეს ახალ მოთხოვნებს და შეიტანოს სათანადო ცვლილებები. სწორედ ამას ითვალისწინებს სწავლების დონე. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროგრამულ პროდუქტს აქვს ასეთ სიტუაციებში გადაწყობის უმარტივესი საშუალება, რომელიც გათვლილა ბუღალტერზე და არა პროგრამისტზე. ყველა პროგრამას თან ერთვის ელექტრული ვერსია, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი საჭირო ცვლილებების შეტანის პროცედურა; მისი შესწავლა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული.

## საბუღალტრო აღრიცხვიანობის კომპიუტერული სისტემების შედარება არაკომპიუტერულ აღრიცხვიანობასთან

კომერციულ სტრუქტურებში მიმდინარე სამეურნეო ოპერაციების კომპიუტერული საბუღალტრო სისტემის გამოყენებით დამუშავება არსებით გავლენას ახდენს ფირმის ორგანიზაციულ მხარეებზე, შიგა კონტროლის მეთოდებსა და პროცედურაზე.

აღნიშნული პროცედურებისა და პირობების კონტროლის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის რიგი თავისებურებები, რითაც ხასიათდება კომპიუტერული ტექნოლოგიები.

საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები მკვეთრად განსხვავდება არაკომპიუტერისაგან, კერძოდ:

- კომპიუტერული ტექნოლოგია ახორციელებს ოპერაციათა ცალსახა შესრულებას. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში იდენტური ოპერაციების შესრულებისას იყენებს ერთსა და იმავე ბრძანებებს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს შემთხვევით შეცდომების დაშვებას. ეს კი ჩვეულებრივ, არაკომპიუტერული დამუშავებისას თითქმის შეუძლებელია.

- ფუნქციათა დანაწილება. კომპიუტერულ სისტემას შეუძლია შეასრულოს შიგა კონტროლის პროცედურათა ნებისმიერი სიმრავლე, რასაც არაკომპიუტერული დამუშავებისას ასრულებს სპეციალისტთა სხვადასხვა ჯგუფები.

- კომპიუტერულ სისტემას შეუძლია გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, კონფედერციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, რაღაც, წინასწარ დადგენილ დონეზე; მაგალითად, გამოიყენოს ისეთი პაროლები, რომლებიც არ მისცემს საშუალებას კონფედერციალური ინფორმაცია მოიპოვოს იმ პირმა, ვისაც არა აქვს ამის უფლება.
- კომპიუტერულ სისტემას აქვს პოტენციური შესაძლებლობა, არ დაუშვას შეცდომები და უზუსტობები საბუღალტრო დოკუმენტების წარმოებისას.
- კომპიუტერული სისტემა მდლავრი საშუალებაა ადმინისტრაციისათვის, გამლიერებული კონტროლი აწარმოოს საფინანსო საქმიანობის სფეროში; გამოიყენოს ანალიზური საშუალებების ფართო სპექტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმის საქმიანობის კონტროლსა და შეფასებას, მისი არაეფექტურობის რისკის შემცირებას. ეს პროცესი უზრუნველყოფილია იმით, რომ კომპიუტერს დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლია მონაცემთა საინფორმაციო ბაზიდან მოძებნოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და სისტემებში გამოყენებული პროგრამების საშუალებით მომხმარებელს მიაწოდოს ფაქტიური ინფორმაცია საბუღალტრო აღრიცხვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, რაც აუცილებელია ადმინისტრაციისათვის ოპერატორული კონტროლისა და შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად.
- კომპიუტერულ სისტემას აქვს პროგრამული პროდუქტის ფართო ფუნქციური და ინტეგრირებული შესაძლებლობა, მომსახურების ეფექტური მეთოდები პერსონალის

სწავლებაში, კონსალტინგში და ა.შ., რაც ფაქტოურად  
მძღავრი ინსტრუმენტია ნებისმიერი წარმოების,  
განსაკუთრებით კი ბიზნესის მენეჯმენტისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე  
კომპიუტერულ სისტემებს აქვს ოპერატორული, სტატისტიკური და  
საბუღალტრო ანგარიშის შესაძლებლობა; საცალო და საბითუმო  
გაჭრობის აღრიცხვის, სასაწყობო აღრიცხვის წარმოების,  
პერსონალის აღრიცხვის და სხვა მრავალი, რაც ცხადია,  
არაკომპიუტერული სისტემისათვის ძნელად განსახორციელებელია.

## **ლაბორატორიული სამუშაო №1**


**ORIS-ბუღალტერიის პროგრამასთან მუშაობის  
დაწყება და ახალი ორგანიზაციის შექმნა**

**1. ლაბორატორიული სამუშაოს დანიშნულება  
სამუშაოს დანიშნულებაა შევისწავლოთ:**


- ✓ ORIS-ბუღალტერიის პროგრამის დაინსტალირება;
- ✓ კლავიატურის დრაივერის (შრიფტების გადამრთველის) დაყენება.
- ✓ ახალი ორგანიზაციის შექმნა;
- ✓ არსებული ორგანიზაციის გახსნა;
- ✓ ორგანიზაციის წაშლა;
- ✓ ბანკში ანგარიშების გახსნა;
- ✓ ბანკების სიაში ახალი ბანკის დამატება;
- ✓ ბრძანების შესრულების მეთოდები.

**2. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული  
სამუშაოს შესასრულებლად**

პროგრამის დასაინსტალირებლად ვირჩევთ პროგრამას – „ORIS-ბუღალტერია“ და ვაწყაპუნებთ თაგვის მარცხენა ღილაკს ორჯერ. მონიტორზე ვიზილავთ შემდეგ სურათს:



ეს შეტყობინება ეხება სალიცენზიო შეთანხმებას, რომელიც უნდა დაადასტუროთ I Agree (თანახმა ვარ) ღილაკზე დაჭრით. შემდეგი შეტყობინებები შეეხება იმ დისკისა და საქაღალდის არჩევას, რომელიც უნდა უნდა ჩაიტაროს უნდა ჩაიტაროს პროგრამის გადატარების დროის გასაღილობის შესახებ. ამასთან ერთდრო არ გვაძლევთ მას გადატაროს და სახა სასტუდიოს გარეთ, ამასთან ერთდრო არ გვაძლევთ მას გადატაროს და სახა სასტუდიოს გარეთ.



# პროგრამის იარღიყი სახელწოდებით ORIS Accounting Demo გამოჩნდება




ეკრანზე და ასევე, შეიტანება ოპერაციული სისტემის სასტარტო მენიუს Programs ჯგუფში.

პროგრამა მუშაობაში იყენებს ქართულ სტანდარტულ შრიფტებს, რომლებიც ავტომატურად დაყენდება პროგრამის ინსტალაციის დროს. საჭიროა მხოლოდ კლავიატურის დრაივერის (შრიფტების გადამრთველის) დაყენება. ამისათვის, დისკიდან ვირჩევთ ბრძანებას – „ქართული კლავიატურა“. ამის შემდეგ, ეკრანზე მივიღებთ შეტყობინებას.



დაგვადასტუროთ ინსტალაციის დაწყების პროცესი  
Install ბრძანებით. ოპერაციის შესრულების შემდეგ, სისტემა  
მოითხოვს გადატვირთვას და დაადასტურებთ Yes ბრძანებით.

სისტემის ახლიდან ჩატვირთვის შემდეგ, თუ გახსნით ეკრანის ქვედა, მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ინდიკატორს, მასში ჩართული იქნება ქართული ენაც, რომლის ასარჩევად პროგრამის ბოლო ვერსიებში გამოყენებულია გადამრთველი FI-Finish



## ახალი ორგანიზაციის შექმნა

ყოველი ახალი ორგანიზაციის ბუღალტერიის საწარმოებლად პროგრამაში უნდა „გაიხსნას“ (შეიქმნას) მისი ბაზა. თითოეული ორგანიზაციის მონაცემები შედგება რამდენიმე ათეული ფაილისაგან. პროგრამა ცალ-ცალკე ფაილებში ინახავს ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმას, ნაშთებს, გატარებებს და ა.შ. ამიტომ, ყოველ ორგანიზაციას შეესაბამება თავისი საქაღალდე, რომელშიც მოთავსდება აღნიშნული ფაილები.


ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად გამოიყენეთ ბრძანებათა შემდეგი თანამიმდევრობა:

ფაილი ➔ ახალი ორგანიზაციის შექმნა



ამის შემდეგ, დიალოგის რეჟიმში პროგრამას მივყვებით ნაბიჯ-ნაბიჯ:


- შესაქმნელი ბაზის ტიპი (საწყისი ბაზა თუ მიმდინარე ბაზის დუბლი (ეს გამოიყენება არსებული ორგანიზაციის შემთხვევაში));



- ანგარიშთა სისტემის სტრუქტურა (ძველი, ახალი თუ საბიუჯეტო);
- მენიუს ენა (ქართული, რუსული თუ ინგლისური);
- დასასრულ, ძირითადი ვალუტა.
- ყოველ მომდევნო ნაბიჯზე გადასვლა ხდება ღილაკზე
- „შემდეგი“, დაჭრით.
- ორგანიზაციის შესაბამისი საქაღალდის სახელი. გასათვალისწინებელია ის, რომ ორგანიზაციის სახელი უნდა შედგებოდეს ლათინური ასოებისა და ციფრების კომბინაციისაგან. დაუშვებელია ყველანაირი სიმბოლო, გარდა „\_“ (ქვედა ტირე) სიმბოლოსი (მაგალითად, SS\_qiziyi);



საბოლოოდ, ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, რომელშიც უნდა შევიდეს ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია (რეკვიზიტები).



რაც შეეხება მოცემული ფანჯრის მარჯვენა ნაწილს, მასში მიეთითება იმ ბანკების რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და ანგარიშის ნომერი), სადაც ჩვენს ორგანიზაციას გახსნილი აქვს ლარის და ვალუტის ანგარიშები.

ფანჯრის ამ ნაწილში განლაგებული ღილაკების ფუნქციები ასეთია:



– დამატება;



– კორექტირება;




– წაშლა.

დავუშვათ, ჩვენს ორგანიზაციას ლარის ანგარიში აქვს გახსნილი ორ ადგილობრივ (რეზიდენტ) ბანკში – თიბისი ბანკი და ბანკი ქართუ.

დავამატოთ ამ ფანჯარაში ბანკების მონაცემები.



ამისათვის, ღილაკის გამოყენებით მივცეთ დამატების ბრძანება. ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას



ბანკის დასახელების არჩევა უნდა მოხდეს ბანკების სიიდან, რომლის გახსნაც შეიძლება ბანკის ველის გვერდით მოთავსებულ ღილაკით.


| ID   | დასახელება    | სამწ / ა  | ბანკის კოდი |
|--|---------------|-----------|-------------|
| 9  | საერთო ხაზისა | 220101222 |             |
| 8 ა. თბილის, ა/ "საქართველო"                               | 700161319     | 220101719 |             |
| 4 ა. თბილის, ს/ "ასაკი პარიუ"                              | 161381        | 220101081 |             |
| 3 ა. თბილის, ს/ "200000 ბანკი ქორხოვა" - ს მისამართის აღმ. | 600161901     | 220101666 |             |
| 5 ა. თბილის, ს/ "მარიანებრძანებანი"                        | 900161397     | 220101997 |             |
| 7 ა. თბილის, ს/ "თბილი პარიუ"                              | 800161219     | 220101830 |             |
| 6 ა. თბილის, ს/ "საქართველოს ამორფიზებანი"                 | 900161245     | 220101945 |             |

თუ სიაში ჩვენი ბანკი არ არის, შეიძლება მისი


დამატება ისევ  ღილაკით.

ამჯერად ავირჩიოთ ბანკი „თიბისი“. ამისათვის  
მოვნიშნოთ და დაგვაჭიროთ  ღილაკს.

### ეგრანზე გამოჩნდება ფანჯარა




ახლა კი, დასამატებელი გვრჩება მხოლოდ „თიბისი“  
ბანკში ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი. მაგალითად,  
შევიტანოთ 123456 და დავხუროთ OK ღილაკის  
საშუალებით. ამით პირველი ბანკის მონაცემები  
დამთავრებულია.



ანალოგიურად შევიტანოთ მეორესაც.

ყურადღება მივაქციოთ იმ ფანჯრის დასახელებას, სადაც ჩვენ შეგიტანეთ მონაცემები. ფანჯრის დასახელებაა „სისტემის პარამეტრები“. ეს დასახელება შემდგომში შეიძლება დაგვჭირდეს მონაცემების ცვლილებისთვის, რომელსაც გავხსნით შემდეგნაირად:

ფონდები ➔ სისტემის პარამეტრები



### არსებული ორგანიზაციის გახსნა

პროგრამაში არსებული ორგანიზაციის გახსნა შეგვიძლია შემდეგნაირად:

პროგრამის გაშვების დასაწყისში ჩამოვშალოთ ორგანიზაციების სის ფანჯარა, რომელშიც თავიდან ავტომატურად მოცემულია ORIS DEMO. ვიზილავთ ორგანიზაციების ჩამონათვალს



ავირჩევთ ჩვენთვის სასურველ ორგანიზაციას და დაგადასტურებთ OK ღილაკის საშუალებით.

### ორგანიზაციის წაშლა

თუ რომელიმე ორგანიზაცია აღარ არის საჭირო, შეგვიძლია პროგრამიდან წავშალოთ. ამისათვის უნდა გავხსნათ მენიუ „ფაილი“ და მასში ავირჩიოთ ბრძანება – არსებული ორგანიზაციის წაშლა, ეკრანზე გამოვა გახსნილი ორგანიზაციების სია, სასურველს მოვნიშნავთ და გამოვიყენებთ ღილაკს ღილაკს.

### 3. დაგალება

1. დააისწოდით პროგრამა;
2. დააყენეთ კლავიატურის დრაივერი;  
წაშლეთ პროგრამა სისტემიდან და ხელახლა დააინსტალირეთ.
3. შექმნით ახალი ორგანიზაცია, სახელით Kolxeti და შეიტანეთ შემდეგი მონაცემები:  
სახელი: შპს „კოლხეთი“  
საიდენტიფიკაციო კოდი: 220230240  
ქალაქი: თბილისი  
ქუჩა: ბაზტრიონის 80
4. ორგანიზაციის ანგარიში გახსენით ორ ბანკში:  
თბილუნივერსალ ბანკში და საქართველოს ბანკში.
5. დაამატეთ ბანკების სიას ახალი ბანკი.
6. დახურეთ პროგრამა.
7. ხელახლა შედით პროგრამაში და შექმნით კიდევ ერთი ორგანიზაცია Orbi. შეიტანეთ მის შესახებ რამები ინფორმაცია.

## ლაბორატორიული სამუშაო №2

### ანგარიშთა გეგმა ფინანსური სახეობის ანგარიშის გახსნა


#### 1. ლაბორატორიული სამუშაოს დანიშნულება

სამუშაოს დანიშნულებაა შევისწავლოთ:

- ✓ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა;
- ✓ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დაპროექტება;
- ✓ ქვეანგარიშები;
- ✓ ფინანსური სახეობის ანგარიშების დამატება;
- ✓ ანგარიშთა ხე.

#### 2. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად

გავხსნათ ჩვენ მიერ შექმნილი ორგანიზაცია SS\_Qiziyi. მასში გავხსნათ ანგარიშთა გეგმა შემდეგნაირად:  
ფონდები→ანგარიშები



ეკრანზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა


ახლა განვიხილოთ ტექნიკურად როგორ ხდება ლეკციაში  
მოყვანილი მაგალითის მიხედვით ფინანსური და სასაქონლო  
სახეობის ანგარიშების გახსნა. რადგან პირველი, მეორე და მესამე  
დონის ანგარიშები უკვე არსებობს ანგარიშთა გეგმაში, ამიტომ  
გავხსნათ მეოთხე დონის ანგარიშები 1610 1 დასახელებით  
„საწყობი“ და 1610 2 – „ძალაზია“.

იმისათვის, რომ სწრაფად მოვებნოთ ანგარიში, კლავიატურაზე გკრეფთ რიცხვს და კომპიუტერში ლურჯად მოინიშნება ის გელი, სადაც არის განთავსებული აღნიშნული ანგარიში.


ამის შემდეგ ვიწყებთ ანგარიშის გახსნას და ამისათვის,




ინსტრუმენტების პანელზე ვაჭერთ  ღილაკს. იხილავთ დღის გეგმას



თუ გინდათ, რომ მომავალში ეს ფანჯარა აღარ გამოვიდეს, მონიშნეთ ველი – „აღარ გამოვიყენოთ ეს შეტყობინება“ და დააჭირეთ ღილაკს – . შემდეგ იხილავთ ეკრანს



სადაც, როგორც ზედავთ ველში – „სახეობა“ არჩეულია „ფინანსური“ და რადგანაც ჯერ უნდა გახსნათ ფინანსური ანგარიში 1610 1 - „საწყობი“, ამიტომ დატოვეთ არჩეული სახეობა. შემდეგ ველში „ანგარიში“ 1610-ის შემდეგ აკრიფეთ 1, ხოლო ველში „დასახელება“ – საწყობი. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:




დააჭირეთ OK-ს და დაინახავთ, რომ ანგარიშთა გეგმაში ჩამოატება თქვენ მიერ გახსნილი ანგარიში.

იმავე წესით გახსენით ანგარიში 1610 2 – მაღაზია.

როგორც გვახსოვს საწყობში არის ორი ტიპის საქონელი: ორგტექნიკა და საკანცელარიო საქონელი. ამ ანგარიშების გასახსნელად მონიშნეთ (დადექით კურსორით) ანგარიში – 1610 1

და დააჭირეთ დამატების ღილაკს – . იხილავთ ნაცნობ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:



დააჭირეთ OK-ს. შემდეგ ზუსტად იმავე წესით გახსენით ანგარიში 1610 1 2 – საკანცელარიო საქონელი. ანგარიშთა გეგმას ექნება შემდეგი სახე:

|  |        |        |   |
|--|--------|--------|---|
|  |        | 1440   | აპტ მოწის ხელმძღვანელი და სამიზნო რიჩ წარი მიგადი |
|  |        | 1450   | აპტ მოწის პროდიუსერის გაცემის დასხივანი           |
|  |        | 1460   | კაბინ გად. კარან. მრავალ მოწის მიგად დატოვება     |
|  |        | 1470   | რწყებულება მოწის მიგად მოწის გადატოვება           |
|  |        | 1480   | მოწის გადატოვება გადატოვები აავსავი               |
|  |        | 1485   | სასამართლოს გადატოვები აავსავი                    |
|  |        | 1490   | სასა მოყვავეთას გადატოვები აავსავი                |
|  | □ 1500 |        | აპტ მოწის გადატოვები სასამართლო მოწის გადატოვები  |
|  |        | 1510   | აპტ მოწის უფრო გრძელებას სასამართლოს მიმდევარი    |
|  |        | 1520   | აპტ მოწის უფრო გრძელებას სასამართლოს მიმდევარი    |
|  | □ 1600 |        | აპტ სასამართლო-მართლისადმი გარაში                 |
|  | □ 1610 |        | აპტ სასამართლო                                    |
|  |        | 16101  | აპტ სასამართლო                                    |
|  |        | 161011 | ორგანიზაცია                                       |
|  |        | 161012 | სასამართლოს საპროცესუალი                          |
|  |        | 16102  | გადატოვება  |
|  |        | 1620   | გელიუმის და გასაღები                              |
|  |        | 1630   | დაუმტკრებული წარმოება                             |
|  |        | 1635   | არ. აუგიამოვანი არ. არ. არის                      |

ამით დასრულდა ფინანსური სახეობის ანგარიშების დამატება.

### დაგალება 1

დავუშვათ, ორგანიზაცია kveba-ს აქვს საწყობი, სადაც შემოაქვს კვების პროდუქტები: ფქვილი, შაქარი, კარაქი და ბურღულეული: ჰერკულესი, წიწიბურა, რომლებიც შემდეგ გადააქვს მაღაზიაში.

შექმენით ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია, დააპროექტეთ და შეადგინეთ ანგარიშთა გეგმა.

## **დავალება 2**

შექმნით სამშენებლო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს სამშენებლო მასალები: ცემენტი, გაჯი, საღებავები, პარკეტი, ლაქი, ქაღალდი. დააპროექტეთ და შეადგინეთ ანგარიშთა გეგმა.

## **დავალება 3**

ვთქვათ, ორგანიზაციას ჰყავს მყიდველები: შპს. „მედეა“; შპს, „წიგნის სამყარო“; შპს, „პრომეთე“. გახსენით მათი ქვეანგარიშები.

## **დავალება 4**

ფირმა „ნიკალა“-ს შემოაქვს მზა პროდუქცია: ძეხვი, დაკონსერვებული: სოკო, თევზი, ლობიო, კიტრის მწნილი, ბარდა, სიმინდი. შექმნით ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია, დააპროექტეთ და შეადგინეთ ანგარიშთა გეგმა.

## ლაბორატორიული სამუშაო №3

### სასაქონლო და ბანკის სახეობის ანგარიშების გახსნა

#### 1. ლაბორატორიული სამუშაოს დანიშნულება


სამუშაოს დანიშნულებაა შევისწავლოთ:

- ✓ სასაქონლო სახეობის ანგარიშების გახსნა;
- ✓ ბანკის სახეობის ანგარიშების გახსნა.


#### 2. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად

როგორც ამოცანიდან ვიცით, ორგანიზაციას საწყობში შემოაქვს კომპიუტერი, ფაქსი და ფაქსის ქაღალდი, ე.ო. საჭიროა შესაბამისი სასაქონლო სახეობის ანგარიშების გახსნა. რადგან კომპიუტერი და ფაქსი ეკუთვნის ორგტექნიკას, ამიტომ, ჯერ მონიშნეთ ანგარიში 1610 1 –ორგტექნიკა და დააჭირეთ დამატების

ღილაკს – . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც გელში „სახეობა“ – ღილაკის მეშვეობით აირჩიეთ – „სასაქონლო“. რის შემდეგაც სისტემა გაგიყვანთ პროგრამაში არსებულ სასაქონლო სიაზე:



ამ ფანჯარაში უნდა ჩავამატოთ საქონელი დასახელებით – კომპიუტერი. ამისათვის, კვლავ ისარგებლეთ დამატების ღილაკით და იხილავთ ეკრანს



რომლის ველებიც უნდა შევავსოთ შემდეგნაირად:

**„ძირითადი საშუალება“** – თუ საქონელი ძირითადი საშუალებაა, მაშინ უნდა მოვნიშნოთ ეს ველი. მოცემულ შემთხვევაში კი არ გვჭირდება და უმჯობესია არ შევეხოთ.

**„კოდი“** – გასახსნელ საქონელს კოდს ანიჭებს პროგრამა ავტომატურად. კოდები საქონელს ენიჭება თანამიმდევრობით ანუ ბოლო განსხილი საქონლის კოდი +1. თუმცა, პროგრამა საქონლის დამატების დროს გაძლევთ კოდის ცვლილების საშუალებას. მაგრამ არ შეიძლება ორ სხვადასხვა საქონელს ჰქონდეს ერთი და იგივე კოდი.


**„დასახელება“** – აქ ვწერთ საქონლის ზუსტ დასახელებას, ჩვენს შემთხვევაში – კომპიუტერი.

**„სასაქონლო ჯგუფი“** – ამ ველის შევსება არ არის აუცილებელი, მაგრამ თუ ორგანიზაციას აქვს დიდი რაოდენობის და სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი, მაშინ სასარგებლო იქნებოდა მათი გაერთიანება ჯგუფებში, რათა შემდგომში გამარტივდეს სასაქონლო სიის გაფილტვრა, დალაგება და ა. შ. ჯგუფების დასახელება და მათი რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობაზე და ეს მომხმარებლის გადასაწყვეტია. ახალი ჯგუფის დასამატებლად უნდა დააჭიროთ

შესაბამისი ველის გასწორივ მოთავსებულ ღილაკს - ...  
იხილავთ ეკრანს:



სადაც ისარგებლეთ დამატების ღილაკით და მოცემული ექრანი  
შეავსეთ შემდეგნაირად:



დააჭირეთ OK-ს. დაინახავთ, რომ ჯგუფების სიაში  
დაემატება ახლად შექმნილი სასაქონლო ჯგუფი და დააჭირეთ  
შემდეგ ღილაკს [1].


„მინიმალური ერთული“ – ამ ველში უნდა აკრიფოთ  
საქონლის მინიმალური საზომი ერთული, ჩვენს შემთხვევაში – ცალი.

„გაყიდვის ფასი“ – ამ ველში ჩვენს შემთხვევაში არაფერს  
შევიტანთ (ამ საკითხს განვიხილავთ „სასაქონლო გატარებაში“).


„ანგარიში“ – აქ შეიძლება მითითებული იქნეს ის  
ანგარიში, რომლის ქვეანგარიშადაც გაიხსნება ეს საქონელი. ამ

ანგარიშის არჩევა შეიძლება ანგარიშთა გეგმიდან ღილაკის – ...  
მეშვეობით. ჩვენს შემთხვევაში ეს არ არის საჭირო იმიტომ, რომ  
უკეთ ანგარიშთა გეგმიდან ვუხსნით 1610 1-ს სასაქონლო  
ანგარიშს.


საბოლოოდ ეკრანი მიიღებს შემდეგ სახეს:



OK-ს დაჭრის შემთხვევაში, სასაქონლო სიაში დაემატება ახლად შექმნილი საქონელი, რომელიც უნდა აირჩიოთ ღილაკით **შეი OK** და დაბრუნდებით ანგარიშის გახსნის ეკრანზე:




ანგარიშთა გეგმაში შევტედავთ, რომ დაემატება ახლად გახსნილი სასაქონლო ანგარიში:



დაგვრჩა კიდევ ორი სასაქონლო ანგარიში: ფაქტი და ფაქტის ქაღალდი. გაუხსენით 1610 1 1-ს სასაქონლო ანგარიში დასახელებით – ფაქტი, ზუსტად იმავე წესით, როგორც კომპიუტერის შემთხვევაში.


„ფაქტის ქაღალდი“ ეპუთვნის საკანცელარიო საქონლს, ამიტომ, ანგარიშთა გეგმაში მონიშნეთ ანგარიში 1610 1 2 და დაამატეთ სასაქონლო სახეობის ანგარიში დასახელებით – ფაქტის ქაღალდი. ამასთან, განვიხილოთ საქონლის დამატების დროს, როგორ დაემატება სხვა ერთეული, როდესაც 1 ყუთში ეტევა 10 ცალი ფაქტის ქაღალდი. ასეთ შემთხვევაში, საქონლის დამატების ეკრანი შეავსეთ შემდეგნაირად:



OK-ს დაჭრის შემდეგ, სასაქონლო სიას ექნება სახე

| საქონლის მონიშნული საჭავალებები |                    |                |               |        |          |
|---------------------------------|--------------------|----------------|---------------|--------|----------|
| მრგვა                           | დასახელება         | კოდი           | კოდის გვ. დრო | ვადა   | მინიმუმი |
| 00001                           | სასაქონლო მინიმუმი | სამზ.          | 0.0000        | 0.0000 |          |
| 00002                           | სარამისავი         | საოზ. ტექნიკა  | 0.0000        | 0.0000 |          |
| 00003                           | ზაპას              | საოზ. ტექნიკა  | 0.0000        | 0.0000 |          |
| 00004                           | ფაქტის ქაღალდი     | სასაქ. საკონლ. | 0.0000        | 0.0000 |          |
| მინიმ./მიმდ.:                   |                    |                |               |        |          |
| OK                              |                    |                |               |        |          |

დასრულდა ანგარიშის გახსნა, რის შემდეგაც ანგარიშთა გეგმას ექნება სახე



### ბანკის სახეობის ანგარიშების გახსნა


განვიხილოთ, როგორ შეიძლება ბანკის სახეობის ქვეანგარიშის დამატება.

ვთქვათ, ორგანიზაციას აქვს ორი საბანკო ანგარიში ეროვნული ვალუტისათვის ბანკებში „ობიძისი ბანკი“ და „ქართუ“ (ამ ბანკების მონაცემები ჩვენ უკვე შევიტანეთ).


იმისათვის, რომ ცალ-ცალკე ვხედავდეთ თითოეული ბანკის მონაცემებს, სასურველია ეს ბანკები ანგარიშთა გეგმაში დაემატოს

ქვეანგარიშების სახით. ამისათვის,  ღილაკის გამოყენებით გავხსნათ ანგარიშთა გეგმა, მოვნიშნოთ 1210 ანგარიში და


გამოვიყენოთ ანგარიშის დამატების ბრძანების ღილაკი  . ამის შემდეგ, ეკრანზე გამოვა ფანჯარა, სადაც სახეობაში ვირჩევთ ბანკს:




ამის შემდეგ, ეკრანზე ვიზილავთ მომდევნო ფანჯარას, სადაც ვირჩევთ პარამეტრებიდან:




მოვნიშნოთ „თიბისი ბანკი“ და დავაჭიროთ OK-ს. ეკრანზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



აქაც ბრძანება OK-ს შემდეგ, 1210 ანგარიშზე გაიხსნება ქვეანგარიში:



ამის შემდეგ ზუსტად იმავე თანამიმდევრობით დავამატოთ „ბანკი ქართუს“ ანგარიში. საბოლოოდ 1210 ანგარიშზე გვექნება ორი ქვეანგარიში, რომელიც ასე გამოიყურება:



## **დავალება 1**

შექმენით მრავალპროფილიანი ფირმა „ოცნება“, რომლისთვისაც გახსენით შემდეგი სახის ორგანიზაციული და სასაქონლო ანგარიშები:

1610-ზე საოფისე ავეჯი (ორგანიზაციული), სადაც მოთავსებული იქნება შემდეგი ქვეანგარიშები: კარადა, საწერი მაგიდა, სკამი (სასაქონლო);

1620-ზე ცემენტი, ქვიშა, გაჯი (სასაქონლო);

1630-ზე ჟურნალი, წიგნი (სასაქონლო);

1640-ზე სამშენებლო მასალები (ორგანიზაციული), სადაც მოთავსებული იქნება ბლოკი, აგური, შპალერი, მეტლახი, თაბაშირ-მუყაოს პარკეტი (სასაქონლო).

რაოდენობები მოუთითეთ თქვენი სურვილისამებრ.

## **დავალება 2**

ზემოთ აღნიშნული ფირმისთვის 1210-ზე შექმენით შემდეგი საბანკო სახეობის ანგარიშები:

„თიბისი“ ბანკი, „აგრო ბიზნეს ბანკი“, „საქართველოს ბანკი“.

## ლაბორატორიული სამუშაო №4

### სასტარტო ნაშთების შეტანა

- ლაბორატორიული სამუშაოს დანიშნულება**  
სამუშაოს დანიშნულებაა შევისწავლოთ:
  - ✓ სასტარტო ნაშთების შეტანა.
- მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად**


თუ ორგანიზაცია ახალი დაარსებულია და პროგრამის გამოყენებით აპირებს თავისი ყველა საბუღალტრო ოპერაციის აღრიცხვას, ამ შემთხვევაში სასტარტო ნაშთები არ იქნება.

ვთქვათ, ორგანიზაცია დოკუმენტაციას აწარმოებდა წელით, შესასრულებულია საკმალ დიდი მოცულობის სამუშაო და გადაწყვიტა, რომ პროგრამულად გააგრძელოს საქმიანობა. ამისათვის არ არის აუცილებელი ყველა ინფორმაციის შეტანა კომპიუტერში. ასეთ შემთხვევაში, უნდა ავირჩიოთ რაიმე თარიღი (უმჯობესია, წლის დასაწყისი იყოს), გამოვთვალოთ ანგარიშებზე საბოლოო ნაშთები (ფული საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნები, კრედიტორული დავალიანებები, მარაგი ძირითადი საშუალებები და ა.შ.) და ეს რიცხვები პროგრამაში შევიდეს, როგორც სასტარტო ნაშთები. იმ რიცხვიდან მოყოლებული კი, ოპერაციებს ვაწარმოებთ უკვე პროგრამის საშუალებით.


განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. დაგუშვათ, ორგანიზაციას სს „ქიზიყი“ 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქვს შემდეგი ნაშთები:

|                           |            |
|---------------------------|------------|
| თიბისი ბანკში             | 4000 ლარი  |
| ქართუში                   | 6000 ლარი  |
| ბანკის გრძელვადიანი სესხი | 10000 ლარი |

ნაშთების დასაფიქსირებლად პირველ რიგში შეგვაქვს  
თარიღი, შემდეგი ლილაკის გამოყენებით



ამის შემდეგ, დავიწყოთ სასტაციო ნაშთების შეტანა. ამისათვის მოვნიშნოთ ანგარიში 1210 4 – თიბისი ბანკი და დავაჭიროთ ლილაკზე **სასტაციო ნატო**. გაიხსნება ჩვენთვის ნაცნობი ფანჯარა:



სადაც დებეტში შევიტანთ 4000. ვალუტის გრაფაში თუ არაფერი წერია, მაშინ ვირჩევთ შესაბამის ვალუტას. ჩვენ შემთხვევაში GEL.

| არამომზრდებული დასახური | მიმღები | დასახურის არამომზრდებული დასახური      | შეცვლილი დასახური |              |
|-------------------------|---------|--|-------------------|--------------|
|                         |         |  | დამტკიცებული      | დამტკიცებული |
| 1000                    |         |  |                   |              |
| 1100                    |         | სპეციალური აკრძალვები                  |                   | 4,000.00     |
| 1110                    |         | ცალღი უფლის სადარიშვი                  |                   |              |
| 1120                    |         | ცალღი უფლის მიმღები ვალუტაზე           |                   |              |
| 1200                    |         | ცალღი უფლის უმოწვევ ვალუტაზე           |                   |              |
| 1210                    |         |  |                   |              |
| 1210.4                  |         | 4,000.00                               |                   |              |
| 1210.5                  |         | 123456 - ქ. თბილისი, სს 'თბილის ბანკი' |                   | 4,000.00     |
| 1220                    |         | 234567 - ქ. თბილისი, სს 'თბილის ბანკი' |                   | 4,000.00     |

როგორც ვხედავთ, პროგრამამ ავტომატურად გადაიტანა იგივე თანხა ზედა დონის ანგარიშებზე, რადგან მხოლოდ ეს რიცხვი არის შეტანილი. ანალოგიურად შევიტანოთ 1210 5 ანგარიშზე რიცხვი 6000. მიღებული შედეგები იქნება

| ანგარიში | შეკვეთი | დასახლება                           | შემოხვევა |      |
|----------|---------|-------------------------------------|-----------|------|
|          |         |                                     | ფასი      | ჯამი |
| 1000     |         | აპტ მიმდინარე აპარატი               | 10,000.00 |      |
| 1100     |         | ნალი ფალი სალარი                    |           |      |
| 1110     |         | ნალი ფალი რეზისულ ვაჭურაპი          |           |      |
| 1120     |         | ნალი ფალი მასიურ ვაჭურაპი           |           |      |
| 1200     |         | ფული სასაქარ აპარატი                | 10,000.00 |      |
| 1210     |         | მოწევული ალლური რიზიდები            | 10,000.00 |      |
| 1210.4   |         | 123456 - ქ თბლიუს, სს "განვი ქართუ" | 4,000.00  |      |
| 1210.5   | აპტ     | 234567 - ქ თბლიუს, სს "განვი ქართუ" | 6,000.00  |      |

პროგრამამ ზედა დონის ანგარიშებზე – 1210, 1200 1000-ზე ავტომატურად შეცვალა მონაცემები და განდა 10000. ფანჯრის ქვედა ნაწილში გამოჩენდება ბალანსი, რომელიც დაგვეხმარება ნაშთების გაკონტროლებაში. ამ ეტაპზე ბალანსი დარღვეულია.

|         |           |      |
|---------|-----------|------|
| ბალანსი | 10,000.00 | 0.00 |
|---------|-----------|------|

ანალოგიურად, გრძელვადიანი სესხის სასტარტო ნაშთი ავსახოთ ანგარიშზე 4140. ამ ანგარიშებზე ქვეანგარიშების გახსნა არ არის აუცილებელი.

თუ სასტარტო ნაშთი დებეტის ნაცვლად კრედიტის უჯრაში აღმოჩენდება (ან პირიქით), ეს რიცხვი წითელი ფერით აისხება, რაც დაგვეხმარება შეცდომის აღმოჩენაში. ამავდროულად, ბალანსიც დამახინჯდება.

თუ შემდგომში მუშაობის პროცესში აღმოვჩენთ, რომ ბალანსი დარღვეულია, ეს არის არასწორად შეტანილი სასტარტო ნაშთების გამო.

დავიძახსოვროთ, საბუღალტრო ოპერაცია, თუნდაც  
არასწორი თანხით იყოს გატარებული, ბალანსს არ დაარღვევს!

როდესაც დავასრულებთ სასტარტო ნაშთების დასმას, უგვე  
შეგვიძლია დავიწყოთ ყოველდღიური საბუღალტრო ოპერაციების  
შეტანა.

### 3. დავალება

1. გაზსენით ორგანიზაცია „ვაკე“;
2. საოპერაციო პერიოდის დასაწყისად (სასტარტო ნაშთების  
დასმის თარიღი) დააყენეთ 2010 წლის 1 იანვარი;
3. აირჩიეთ ვალუტა GEL;
4. 1210 ანგარიშზე (ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში)  
შექმნით ბანკის სახეობის ოთხი ქვეანგარიში.

|        |                      |
|--------|----------------------|
| 1210 1 | ვითიბი ბანკი ჯორჯია  |
| 1210 2 | თბილუნივერსალბანკი   |
| 1210 3 | ინტელექტუალური ბანკი |
| 1210 4 | საფოსტო ბანკი        |
5. შეიტანეთ სასტარტო ნაშთები

|                                       |             |
|---------------------------------------|-------------|
| ვითიბი ბანკი ჯორჯია                   | 20 000 ლარი |
| თბილუნივერსალბანკი                    | 10 000 ლარი |
| ინტელექტუალური ბანკი                  | 15 000 ლარი |
| საფოსტო ბანკი                         | 5 000 ლარი  |
| გრძელვადიანი სესხი<br>(ანგარიში 4140) | 50 000 ლარი |
6. გადააკეთეთ 20 000 ლარის ნაშთი 10 000 ლარად.

7. შესაბამისად შეცვალეთ 4140 ანგარიშის სასტარტო  
ნაშთი, რომ გასწორდეს ბალანსი.  
თქვენი საბოლოო ნაშთები ასეთი უნდა იყოს:

| კოდი       | დასახელება          | ნაშთი         |               |
|------------|---------------------|---------------|---------------|
|            |                     | დებუტი        | კრედიტი       |
| 1210 1     | ვითაბი ბანკი ჯორჯია | 10 000        |               |
| 1210 2     | თბილუნივერსალბანკი  | 10 000        |               |
| 1210 3     | ინტელექტბანკი       | 15 000        |               |
| 1210 4     | საფოსტო ბანკი       | 5 000         |               |
